THE ISSUE OF NATIONAL MINORITIES IN THE CONSTITUTION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA
ეროვნულ უმცირესობათა საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში

OTAR JANELIDZE

Doctor of History, Professor of Gori State University
№53 Agmashenebeli avenue, Gori, Georgia
599540195. Otar_janelidze@yahoo.com
ORCID ID 0000-0003-0132-4341

NANA SADGHOBELASHVILI

The leading teacher of Honorable Father Giorgi Mtatsmindeli's Gori School-Gymnasium
Peace Avenue # 13 Gori, Georgia
+995598553591, naniko13sadghobelashvili@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-5187-9102

Abstract.Researching the issue of national minorities is a very relevant problem during the period of the First Republic of Georgia. One of the most interesting and important documentary sources for studying this topic is the Constitution of the Democratic Republic of Georgia, which was approved by the constituent assembly on February 21, 1921.

The constitution essentially reflected and consolidated the attitude of the Georgian government and opposition political forces towards the national minorities living in the country from the day of restoration of statehood until the end of the democratic republic.

As a result of the objective reality and the demographic policy of the Russian Empire, Georgia represented a multi-ethnic state. Realizing the seriousness of this issue, Georgian politicians immediately began to take care to solve it. The Act of Independence, which was published by the National Council on May 26, 1918, also focused on the rights of national minorities. The government consistently implemented the laws and decrees developed in the Parliament and the Constituent Assembly, which affected national minorities, and there were many of them.

The representatives of national minorities, who held the mandates of the legislative body, took part in the creation of these legal acts (many representatives of national minorities were included in the active political parties, local self-governments (nations) and central state structures).

While working on the draft of the Constitution of Georgia, the Constitutional Commission of the Constituent Assembly repeatedly invited representatives of national minorities to its meetings, heard, discussed and analyzed their demands, which found some reflection in the basic law of the state.

The constitution defined the political appearance of the new Georgian state and clearly outlined the rights of citizens, including women, national minorities and others.

Chapter 14 of the first Constitution of Georgia is devoted entirely to national minorities. A number of articles of the constitution, in which democratic standards are protected, were related to the provision of education, cultural, social and political rights of national minorities. It was important that the constitution

provided for the inclusion of ethnic groups in the public and political life of the main population of the country and promotion of civil integration by preserving their values, identity and cultural identity.

National minorities, with some exceptions, who showed separatist tendencies supported from outside, did not feel excluded in the Democratic Republic of Georgia, although the language barrier created certain obstacles for them to participate fully in the life of the state.

Based on primary sources, archival material, data from the periodical press of the Democratic Republic, and considering the scientific literature, the article covers the vision of the national minorities living in Georgia in terms of protecting their rights and how they were reflected in the Constitution of the Democratic Republic. It is concluded that the issue of national minorities was not fully resolved in the Democratic Republic of Georgia, although it can be said that the internal state of Georgia in 1918-1921 was really adapted to the creation of an equal environment for national minorities.

The importance of the research is determined by the relevance of the issue, which was so acute in the state reality of Georgia in 1918-1921 and does not lose its intensity even today.

Key words: rights of national minorities; Democratic Republic of Georgia; Constitution of Georgia; Georgia in 1918-1921.

ოთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, გორი, დ. აღმასენებლის გამზ. #53
599540195. Otar_janelidze@yahoo.com
ORCID ID 0000-0003-0132-4341

ნანა სადღობელაშვილი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სკოლა-გიმნაზიის წამყვანი პედაგოგი,
საქართველო, გორი, მშვიდობის გამზირი # 13
+995598553591, naniko13sadghobelashvili@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-5187-9102

აბსტრაქტი: ეროვნულ უმცირესობათა საკითხის კვლევა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში მეტად აქტუალური პრობლემაა. ამ თემის შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა.

კონსტიტუციამ არსებითად ასახა და დააკანონა ის დამოკიდებულება, რაც საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ გააჩნდათ სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან მოყოლებული დემოკრატიული რესპუბლიკის აღსასრულამდე.

ობიექტური რეალობისა და რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად, საქართველო მრავალეთნიკურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ესმოდათ რა ამ საკითხის სიმწვავე, ქართველმა პოლიტიკოსებმა ზრუნვა მის გადასაჭრელად იმთავითვე

დაიწყეს. დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოაქვეყნა, ყურადღებას ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზეც ამახვილებდა. მთავრობა თანმიმდევრულად ნერგავდა ცხოვრებაში, პარლამენტსა და დამფუძნებელი კრებაში შემუშავებულ კანონებსა თუ დეკრეტებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს შეეხებოდა. ასეთი კი არაერთი იყო.

ამ სამართლებრივი აქტების შექმნაში მონაწილეობას ეროვნულ უმცირესობათა ის წარმომადგენლებიც იღებდნენ, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს მანდატებს ფლობდნენ (ეროვნულ უმცირესობათა არაერთი წარმომადგენელი მოქმედ პოლიტიკურ პარტიებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში (ერობები) და ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებშიც შედიოდა).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ თავის სხდომებზე არა ერთხელ მოიწვია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, მოისმინა, განიხილა და გააანალიზა მათი მოთხოვნები, რამაც გარკვეული ასახვა სახელმწიფოს ძირითად კანონში ჰპოვა.

კონსტიტუციამ განსაზღვრა ახალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იერსახე და მკაფიოდ გამოკვეთა მოქალაქეთა, მათ შორის ქალთა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და სხვ.

საქართველოს პირველ რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-14 თავი მთლიანად ეროვნულ უმცირესობებს ეთმობა. კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლები, რომლებშიც დაცულია დემოკრატიული სტანდარტები, ეროვნულ უმცირესობათა განათლების, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას შეეხებოდა. მნიშვნელოვანი იყო, რომ კონსტიტუცია ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას მათი ფასეულობების, იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით ითვალისწინებდა.

ეროვნული უმცირესობანი, ცალკეული გამონაკლისთა გარდა, რომლებიც გარედან მხარდაჭერილ სეპარატისტულ ტენდეციებს ამჟღავნებდნენ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავს გარიყულად არ გრძნობდნენ, თუმცა ენის ბარიერი მათ გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდ, სრულფასოვანი მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს ცხოვრებაში.

სტატიაში პირველწყაროების, – საარქივო მასალის, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდული პრესის მონაცემებზე დაყრდნობითა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, გაშუქებულია, როგორი ხედვა ჰქონდათ თავიანთი უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს და რამდენად აისახა ისინი დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გადაჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ მოესწრო, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წწ. საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობა ნამდვილად იყო მორგებული ეროვნული უმცირესობებისათვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე.

კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია საკითხის აქტუალობით, რომელიც ასე მძაფრად დადგა 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფოებრივ რეალობაში და არც დღეს კარგავს სიმწვავეს.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველო 1918-1921 წლებში.

შესავალი/Introduction: ეროვნულ უმცირესობათა საკითხი ადამიანის უფლებებსა და სიტყვის თავისუფლებასთან ერთად, თანამედროვე სახელმწიფოების დემოკრატიულ ღირებულებათაგან ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტური ფასეულობაა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არაერთ სახელმწიფოზე ადრე შეიმუშავა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული რიგი ფასეულობებისა, რასაც მრავალი ისტორიული დოკუმენტი ადასტურებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მეთოთხმეტე თავი მთლიანად ეთმობა ეროვნული უმცირესობების საკითხს. საქართველოს კონსტიტუცია და მისი შექმნის პროცესი მრავალწახნაგოვანი გააზრებისა და რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, კონსიტუციის შესწავლა გვიხსნის კვლევის ფართო სპექტრს იმდროინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად და იმის წარმოსაჩენად, როგორ პასუხობდა ქვეყნის უმთავრესი კანონი ეროვნული უმცირესობების მოთხოვნებსა და მისწრაფებებს.

მეთოდები/Methods: აღნიშნული საკითხის კვლევა ემყარება მრავალფეროვან რესურსებსა და მეთოდოლოგიას, რაც გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო განსხვავებული და ლოგიკური რაკურსებით გავაანალიზოთ განსახილველი თემა. კვლევისას გამოყენებულ იქნა შედარებით-ისტორიული პრინციპები, დოკუმენტური ანალიზისა და ფრაგმენტული გააზრების მეთოდები. განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. კონტექსტუალური ანალიზი, რაც კვლევის პროცესში საკითხის სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონტექსტების უკეთ გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ნაშრომზე მუშაობისას საკმაოდ ღირებული იყო ისტორიზმისა და ქრონოლოგიური დაკვირვების მეთოდები, აგრეთვე კვლევა ეფუძნება მრავალფეროვანი რესურსების შესწავლა-შედარებას, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ მართებული დასკვნები გამოვიტანოთ.

შედეგები და მსჯელობა: საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა საკონსტიტუციო კომისიამ დაიწყო, რომელიც ეროვნულ საბჭოში ჩამოყალიბდა. კომისიაში თავდაპირველად ცხრა წევრი შედიოდა, რომლებიც სხვადასხვა პარტიებს წარმოადგენდნენ: სოციალ-დემოკრატები (რაჟდენ არსენიძე, ნოე ჟორდანია), ფედერალისტები (სამსონ დადიანი, გრიგოლ რცხილაძე), ესერი ივანე ჩერქეზიშვილი, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა, უპარტიო კონსტანტინე მაყაშვილი. საკონსტიტუციო კომისიის თავჯდომარე გახლდათ სერგი ჯაფარიძე, ხოლო მდივანი პავლე საყვარელიძე (ორივე სოციალ-დემოკრატები იყვნენ). კომისიამ გადაწყვიტა, რომ თავებად დაეყო კონსტიტუციის პროექტი და კონკრეტულ მიმართულებებზე მუშაობა წევრებისთვის დაევალებინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ეროვნული უმცირესობების საკითხზე მუშაობა სამსონ დადიანს ხვდა წილად (მაცაბერიძე მ., 2021, გვ.25). ეროვნულ საბჭოში ჩამოყალიბებულმა კომისიამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, რასაც შემდგომში დაეყრდნო დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისია. ამჯერად კომისია 15 წევრისგან შედგებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაჟდენ არსენიძე მოგვიანებით კი პავლე საყვარელიძე. აღსანიშვანია, რომ საკონსტიტუციო კომისიაში

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელიც შედიოდა, კერძოდ, დაშნაკცუთიუნის ფრაქციის თავჯდომარე ტიგრან ავესტიანი.

დამფუძნებელი კრების მიერ დაკომპლექტებულმა საკონსტიტუციო კომისიამ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებათა რეალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რაც განპირობებული იყო იმ პერიოდის საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს ეროვნული უმცირესობები წარმოადგენდნენ, მათი უფლებების შესახებ საკონსტიტუციო თავზე მუშაობისას მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს: სამსონ დადიანმა, იოსებ ბარათაშვილმა, მუხრან ხოჭოლავამ, იოსებ გობეჩიამ, გიორგი გვაზავამ, პავლე საყვარელიძემ.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კომისია დიდ ყურადღებას იჩენდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ. ეს ყოველივე განსაკუთრებით აისახა იმ ფაქტში, რომ კომისიამ მრავალგზის ჩართო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში და მათი დამოკიდებულები გულდასმით მოისმინა. მათ შორის აღსანიშნავია მუსლიმების, ოსების, სომხების, რუსების და სხვათა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესში მეტად საყურადღებო გახლდათ რუსთა ეროვნული საბჭო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას არ აღიარებდა, რის გამოც ნაწილი კომისიის წევრებისა თვლიდა, რომ აღნიშნული ეროვნული საბჭოსათვის არ უნდა მოესმინათ. მრავალ საკითხზე შეჯერების შედეგად, საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც პრესაშიც გამოქვეყდა, გულისხმობდა იმას, რომ საკონსტიტუციო კომისია შეხვდებოდა თითოეულ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც მზაობასა და სურვილს გამოხატავდა მიმდინარე პროცესებში ჩართულობისათვის. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში წარმართულ სხდომებს ესწრებოდნენ ბერძენთა, ოსთა, რუსთა, გერმანელთა, თათართა, ებრაელთა წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ეროვნული უმცირესობების საბჭოთაგან ზოგიერთმა ეროვნულ უმცირესობათა თემაზე კომისიას საკუთარი პროექტი შესთავაზა. უდაოდ გამოსარჩევია ბერძენთა ეროვნული საბჭო. საბჭოს სახელით განცხადება გააკეთა ნ. პილოტოვმა, რომლის მიხედვითაც ისინი გამოთქვამდნენ მზაობას, რომ საჭიროების შემთხვევაში თანახმა იქნებოდნენ მთელი პროექტი უკან წაეღოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათივე თქმით წარმოდგენილი პროექტი ცხოვრებით ნაკარნახევი გახლდათ (მაცაბერიძე მ. , 2009, გვ. 10-12). ამგვარ შეხედულებას ვაწყდებით ქართველი ებრაელების დამოკიდებულებებშიც, რის შესახებაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ერთ-ერთი პუბლიკაცია, რომელიც გაზეთ „ერთობაში“ იყო დაბეჭდილი (გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 10 დეკემბერი).

რაც შეეხება სომეხთა ეროვნულ საბჭოს, იგი მოითხოვდა, რომ საქართველოში შექმნილიყო სომეხთა თვითმმართველობა, რომლის აღმასრულებელი ორგანო იქნებოდა ეროვნული საბჭო. სომეხთა ეროვნული საბჭოს პროექტი ასევე გულისხმობდა, რომ ყველა კანონი სომხურადაც ყოფილიყო გამოქვეყნებული და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების დადგენილებები სომხურადაც უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი (სადაც სომეხთა ხვედრითი წილი 15% იქნებოდა მინიმუმ). ასევე, მოითხოვდნენ, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომებში ჩართულნი ყიფილიყვნენ სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებიც (მაცაბერიძე მ., ჯანელიძე ო. და სხვ. 2022, გვ.280).

ეს ყოველივე მცირე ჩამონათვალია იმ ფართო უფლებებისა, რასაც სომეხთა ეროვნული საბჭო საკუთარი პროექტის ფარგლებში მოითხოვდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა მიერ წარდგენილი პროექტი და მათი მოთხოვნებიც საკაოდ ვრცელი იყო. წარდგენილი პროექტის მიხედვით, მოითხოვდნენ: ადგილების გამოყოფას დამფუძნებელ კრებასა და პარლამენტში (სურდათ თვითონ აერჩიათ წევრები საქართველოში არსებული პარტიების მონაწილეობის გარეშე), მათ ენაზე წარმართულიყო ოფიციალური მიმოწერა (რაც მოითხოვდა სპეციალურად მათთვის თარჯიმანთა შტატს), მათ უნდა ჰქონოდათ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ასევე მოსამართლეებისა და გამომძიებლების დანიშვნის უფლება ისეთ ადგილებში, სადაც მუსლიმანები კომპაქტურად სახლობდნენ და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არსებული ოსთა ეროვნული საბჭოც ითხოვდა უფლებების გაზრდას, რაც აღნიშნული იყო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ პროექტში. მათ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა პოლიტიკური ავტონომიის მიღება. პროექტი 5 თავისა და 47 მუხლისგან შედგებოდა და ეწოდებოდა „სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი“ (1919 წლის 16 ივნისს გადაეცა დამფუძნებელ კრებას). პროექტის მიხედვით, ფინანსურად უნდა გათანაბრებოდა სამხრეთ ოსეთის კანტონი სხვა თვითმმართველ ერთეულებს საქართველოს ტერიტორიაზე, ბუნებრივ რესურსებზე სრულ უფლებას მოითხოვდნენ, კანტონში მცხოვრებს მხოლოდ კანტონის ტერიტორიაზე უნდა მოეხადა სამხედრო ვალდებულება და ა.შ. (ბახტაძე უ.,1968, გვ.52). აღნიშნულ პროექტს, რა თქმა უნდა, დაწვრილებით გაეცნო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია და დაასკვნა, რომ წარდგენილი მოთხოვნები არამიზნობრივი და გადაჭარბებული იყო და რაც ყველაზე სახიფათოა, ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის დეცენტრალიზაციისკენ იყო მიმართული. გაზეთი „ერთობა“ ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა: „სამხრეთ ოსეთმა წარმოადგინა ისეთი პროექტი, რომელიც შორს ცილდება ეროვნულ ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს და აწესებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე ცალკე სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკასთან ოდნავ, უფროსიტყვიერად დაკავშირებულს, რომლის პირველ მუხლში სიტყვა „ავტონომიური“ გაუგებრადაა ჩაწერილი“ (გაზ.„ერთობა“,1920 წ., 16 აპრილი).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები მართლაც, რომ შეეცადნენ დღის წესრიგში დაეყენებინათ ეროვნული უმცირესობების უფლებათა რეალიზაციის საკითხი, თუმცა ისტორიულმა ვითარებამ, როგორიცაა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა და შემდეგში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, ხელი შეუშალა ქვეყნის ზოგად პროგრესს და მით უფრო ეროვნული უმცირესობების უფლებათა დანერგვას, რამაც მომავალში სერიოზული სოციოპოლიტიკური პრობლემები გააღვივა. „1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო“ (სოსიაშვილი გ., 2024, გვ.2)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა კონსტიტუციაში შესატან ეროვნული უმცირესობების უფლებებზე. შეხვდერაზე მოხსენებით ლეო ნათაძე წარსდგა. აღნიშნულ იქნა, რომ საქართველოში 15 ეროვნული საბჭო ფუნქციონირებდა. საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ეროვნულ უმცირესობებს უფლებები მკვეთრად უნდა გაზრდოდათ, მაგრამ მათთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა საჯარო და უფლებრივი ორგანიზაციების შექმნაზე ნების მიცემა. აკაკი ჩხენკელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების

უფლებებით აღჭურვა მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინათ ქვეყნის ინტერესები.

ქვეყნის კოსნოლიდაციისა და სიმყარის თვალსაზრისით ცხადია საფრთხეს ქმნიდნენ ეროვნული უმცირესობების მხრიდან წამოსული გადაჭარბებული მოთხოვნები. მაგალითად, დაშნაკთა ფრაქციის შენიშვნები და კომენტარები ცალსახად სომეხთა განსაკუთრებული პრივილეგიებით აღჭურვას მოითხოვდა (მაცაბერიძე მ., 2021, გვ. 38).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო დაშნაკცუთიუნის ფრაქციამ. ფრაქციის თავმჯდომარე ტიგრან ავეტისიანმა პროექტის მე-14 თავის (ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი) 144-ე მუხლში შემდეგი შესწორებისშეტანა მოითხოვა: ,,სომეხთა ეროვნული უმცირესობის ეროვნულ-კულტურული განვითარების უფლება საჯარო-უფლებრივი თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია საგანგებო კანონით“ (მაცაბერიძე მ., ჯანელიძე ო., 2022, გვ.280). ეს შესწორება არ მიუღიათ.

საკონსტიტუციო კომისია დაკვირვებით უდგებოდა ეროვნული უცირესობების უფლებათა რეალიზაციის საკითხს და პირველ რიგში ითვალისწინებდა ქვეყნის ინტერესებსაც, რაც გამოხატული იყო პრინციპით: „უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს, ავნებს მათაც“ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქ. 180, ფურც. 177).

საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული „კონსტიტუციის პროექტი“ 1920 წლის ზაფხულში დაისტამბა და დაურიგდათ გასაცნობად დამფუძნებელი კრების წევრებს. 1920 წლის 24 ნოემბერს პლენარულ სხდომაზეც განიხილეს და ხუთი მოსმენის შემდეგ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცეს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ ფაქტობრივად დააკანონა უფლებები ეროვნული უმცირესობებისთვის, რომლითაც მანამდეც სარგებლობდნენ და უფრო მეტ უფლებასაც ანიჭებდა, ვიდრე 1919 წლის მოქალაქეობის კანონი. 1921 წლის კონსტიტუციის მე-14 თავი მთლიანად ეროვნული უმცირესობების უფლებებს ეხებოდა, რომელიც ჩაშლილი იყო მუხლებად და მოიცავდა 129-137 მუხლებს.

129-ე მუხლი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის შესაძლებლობას

უქმნიდა, ანიჭებდა უფლებას, ეწერათ, ელაპარაკათ და განვითარებულიყვნენ საკუთარ ენაზე;

130-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) კავშირების ჩამოყალიბების უფლება ეძლეოდათ. მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე, თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იყო ფინანსური ხარჯებიც;

131-ე მუხლი - კრძალავდა პირის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლების შეზღუდვას ეროვნულ კავშირში მისი მონაწილეობის გამო;

132-ე მუხლი - ეროვნულ კავშირს უფლება ეძლეოდა, სასამართლოს გამოყენებით დაეცვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებები თუ ამის საჭიროება შეიქმნებოდა.

133-ე მუხლი - საქართველოს ყოველი მოქალაქის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის წესდებოდა თანასწორი უფლება, ჩართულიყვნენ როგორც სახელმწიფო, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში, ასევე საქალაქო და საერობო ერთეულების საქმიანობაში;

134-ე მუხლი - ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებული იყო, სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დაეარსებინა სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულები მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით;

135-ე მუხლით ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში სწავლებაბავშვის სალაპარაკო ენაზე წესდებოდა;

136-ე მუხლი - იმ ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატებოდა ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით, მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზეც უნდა შემოეღოთ;

137-ე მუხლით იმ არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცოდა, უფლებას ეძლეოდა, პარლამენტში სიტყვა თავის დედა-ენაზე წარმოეთქვა, ოღონდ, სიტყვის სწორი თარგმანი წინასწარ უნდა წარედგენა პარლამენტის პრეზიდიუმისათვის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1990, გვ. 481-482).

უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია ამ მუხლს ეწინააღმდეგებოდა და მის ამოშლას მოითხოვდა, ვინაიდან, მისი თქმით, დეპუტატი ვალდებული იყო სახელმწიფო ენა სცოდნოდა, თუმცაღა მისი მოთხოვნა გათვალიწინებული არ ყოფილა.

კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავზე დაკვირვებით და გაანალიზებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს იმ პერიოდის მმართველი ძალა შეძლებისდაგვარად ცდილობდა და დიდწილად ახერხებდა კიდეც ეროვნული უმცირესობების უფლებათა სათანადო დონეზე უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი უცხოელი ავტორი (ფირუზ ქზემზადე, ერიკ ლი) მიიჩნევს, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხი ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოსათვის აქილევსის ქუსლი იყო. ამ გამოწვევის სიმწვავეს მართლაც ვერ ვუარყოფთ, მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას გააჩნდა ხსენებული პრობლემის გადაწყვეტის ურყევი პოლიტიკური ნება, სწორად გააზრებული ხედვა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა სათანადო მიმართულებით.

კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული უმცირესობების განათლებისა და კულტურული განვითარების უფლებებს. ამ მიმართულებით ქვეყანაში ბევრი რამ პრაქტიკულადაც კეთდებოდა. საქართველოში ფუნქციონირებდა 80 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. თბილისში დაფუძნდა გერმანული რეალური გიმნაზია, საფუძველი ეყრებოდა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ, ოსურ ენებზე და სხვ. მაგალითად, დაწყებითი ოსური სკოლები სახელმწიფოს ხარჯზე გახსნილი იყო რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებში. 1918 წლის ბოლოს ცხინვალში დაარსდა ოსური გიმნაზია, რომელსაც განათლების სამინისტრო აფინანსებდა(ჯანელიძე ო., გვ.376).

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 თავი ეძღვნებოდა სწავლა-განათლებასა და სკოლას, რაც ბუნებრივია ეროვნულ უმცირესობებსაც შეეხებოდათ. ეს თავი 4 მუხლისაგან (მუხლები 109-112) შედგებოდა და აწესებდა, რომ ხელოვნება, მეცნიერება დამათი სწავლება თავისუფალია და მათ განვითარებაზე ზრუნვას სახელმწიფო კისრულობდა; პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულო ხდებოდა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საერო უნდა ყოფილიყო; სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმართველობებს ყოველწლიურად ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებისათვის საზრდოს,ტანსაცმლისა და სასწავლო ნივთების უფასოდ მისაცემად უნდა გამოეყოთ; კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა უნდა დამორჩილებოდა საერთო სასკოლო კანონს“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, გვ. 476-477).

დასკვნა: 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, იმ პერიოდის პოლიტიკური ელიტა ნამდვილად ზრუნავდა ეროვნული უმცირესობების უფლებებზე და მათი ინტეგრაციისთვის შესაბამის ღონისძიებებს ატარებდა. კონსტიტუციამ ასახა და დააკანონა ის დამოკიდებულება, რაც საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ გააჩნდათ სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან მოყოლებული დემოკრატიული რესპუბლიკის აღსასრულამდე.

მართალია, ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გადაჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ მოესწრო, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წწ. საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობა ნამდვილად იყო მორგებული ეროვნული უმცირესობებისათვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე. სწორედ ამ მოცემულობაზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რომ არა გარე პოლიტიკური ჩარევები და ის უარყოფითი რეზულტატი თუ გავლენები, რაც ამ ყოველივეს მოჰყვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეროვნული უმცირესობების უფლებების და მათთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის მხრივ ერთ-ერთ სამაგალითო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა.

მადლიერება: მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამინის მიმართ, რომლებთან კონსულტაცია სტატიაზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა საკითხის სიღრმისეულად გააზრებასა და მართებული დასკვნების გამოტანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბახტაძე, უ. (1968). *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა.* თბილისი.

გაზეთი „ერთობა“,1920 წ. 16 აპრილი.

გაზეთი ,,ერთობა”, 1919 წ., 10 დეკემბერი.

მაცაბერიძე, მ. (2000). საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათაკონსტიტუციური უფლებები, *,,ცივილიზაციური ძიებანი”,* # 7.

მაცაბერიძე, მ., ჯანელიძე, ო., სურგულაძე, პ., იაკობაშვილი, ი., ზედგენიძე, ნ., ორჯონიკიძე თ. (2022). *საქართველოს დამფუძნებელი კრება. ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება.* თბილისი.

მაცაბერიძე, მ. (2021). *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება.* თბილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ნაწ. 1, საქ.180.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. (1990). თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2024). ქსნის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში და მოსახლეობის პროტესტი, *„science journals".*

ჯანელიძე, ო. (2019). „ნატეხი ერები" საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. *კრებულში: ელდარ მამისთვალიშვილი-75.* თბილისი.

REFERENCES

bakhtadze, u. (1968). samkhret osetis avtonomiuri olqis sheqmna da misi samartlebrivi mdgomareoba [Creation of the Autonomous Region of South Ossetia and Its Legal Status]. Tbilisi.

gazeti, „ertoba", 1919 ts., 10 dek'emberi [Newspaper "Unity", December 10, 1919].

gazeti, „ertoba", 1920 ts., 16 aprili [Newspaper "Unity", April 16, 1920].

janelidze, o. (2019). „nat'ekhi erebi" sakartvelos demok'rat'iul resp'ublik'ashi ["Shards of Nations" in the Democratic Republic of Georgia]. In the collection: eldar mamistvalishvili-75 [Eldar Mamistvalishvili-75].

mats'aberidze, m. (200). sak'art'velos 1921 ts'lis konstituts'iis shemushaveba da erovnuli umts'irosnobata konstituts'iuri uplebebi [Development of the 1921 Constitution of Georgia and the Constitutional Rights of National Minorities]. Tsivilizats'iiuri dz'iebani [Civilizational Searches], # 7.

mats'aberidze, m. (2021). sak'art'velos 1921 ts'lis konstituts'iis shemushaveba da migeba [Development and Adoption of the 1921 Constitution of Georgia]. Tbilisi.

mats'aberidze, m., janelidze, o., surguladze, p., iakobashvili, i., zedgenidze, n., orjonikidze, t. (2022). sak'art'velos dampudznebeli k'reba. kartuli parlament'arizmis gants'khadeba [Constituent Assembly of Georgia. Experience of Georgian Parliamentarism]. Tbilisi.

sak'art'velos demokrat'uli respublik'is samartlebrivi akt'ebi kruebuli (1990). Tbilisi [Collection of Legal Acts of the Democratic Republic of Georgia]. Tbilisi.

sak'art'velos erovnuli arkh'ivi, tsentraluri saiistorio arkh'ivi, arkh'ivi, p'ondi 1833, nats' 1, sak'.180 [National Archive of Georgia, Central Historical Archive, Archive, Fund 1833, Inventory 1, Case 180].

sosiashvili, g. (2024). k'snis kheoba samkhret osetis avtonomiuri olqis shemdeg da mosak'hlobis protesti, „science journals" [Ksani Valley in the Context of the Autonomous Region of South Ossetia and the Protests of the Population, "Science Journals"].